

შპს „გეო იმპექსი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7
1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	12
8. საინვესტიციო ქონება	13
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 (არა აუდიტირებული)	2017 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	6 062 212	5 884 556
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1 885	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5 002 856)	(4 559 818)
მთლიანი მოგება		1 059 357	1 324 738
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1 147 303)	(1 045 860)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	7	(64 932)	51 922
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4 874	159 545
მოგება გადასახადის გადახდამდე		(148 004)	490 345
მოგების გადასახადი		(5 897)	(76 836)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(153 901)	413 508

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

დიმიტრი ბარნაბიშვილი
დირექტორი

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	243 759	290 891
არამატერიალური აქტივები		539	598
ინვესტიციები სხვა საწარმოთა		1 856 733	1 856 733
წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები		6 136 168	5 771 820
სულ გრძელვადიანი აქტივები		8 237 198	7 920 041
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	4 263	14 082
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-
მარაგები		502 761	1 160 995
გადახდილი ავანსები და დარიცხული		178 916	145 437
მისაღები შემოსავალი			
სხვა მიმდინარე აქტივები		165 204	165 016
სულ მიმდინარე აქტივები		851 145	1 585 995
სულ აქტივები		9 088 343	9 506 036
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	500
გაუნაწილებელი მოგება		4 657 865	5 197 496
სხვა რეზერვები		190 065	169 488
სულ კაპიტალი		4 848 430	5 367 484
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		2 305 383	2 305 383
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		120 749	25 735
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 426 132	2 331 118
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და			
მიღებული ავანსები		624 895	731 299
საგადასახადო ვალდებულებები		158,392	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1 030 495	1 076 135
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 813 781	1 807 434
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9 088 343	9 506 036

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

(არააუდიტირებული)	კაპიტალის საწყისი ნაშთი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2017	237 590	5 029 163	5 266 753
კაპიტალის ცვლილება	(67 602)		(67 602)
სულ წლის სრული შემოსავალი		413 508	413 508
გადახდილი დივიდენდი		(245 175)	(245 175)
ნაშთი 01 იანვარი 2018	169 988	5 197 496	5 367 484
კაპიტალის ცვლილება	20 577		20 577
სულ წლის სრული შემოსავალი		(153 901)	(153 901)
გადახდილი დივიდენდი		(385 730)	(385 730)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	190 565	4 657 865	4 848 430

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

დიმიტრი ბარნაბიშვილი
დირექტორი

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	721 528	57 727
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(730 293)	(62 566)
წმინდა სრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(8 765)	1 560
სავალუტო რისკის ეფექტი	(1 054)	3 691
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	14 082	8 830
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	4 263	14 082

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

დიმიტრი ბარნაბიშვილი
დირექტორი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გეო იმპექსი“, რომელიც დაარსდა 2005 წლის 30 ნოემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202295211.

ძირითადისაქმიანობა. შპს „გეო იმპექსი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყავის იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 158.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობს ფიზიკური პირი დავით ოტიაშვილი.

ინვესტიციები: კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა არ ევალება.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018

წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „გეო იმპექსის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები, რადგან ორგანიზაცია ეწევა ყავის იმპორტს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროსდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-15
მანქანა-დანადგარები	10-20
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გთვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის

ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებები რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლები მთლიანად შედგება ყავა პელეს რეალიზაციისგან. შპს გეო იმპექსი ახდენს ყავის იმპორტს ბრაზილიიდან და შემდგომ საბითუმოდ გადასცემს პარტნიორ სადისტრიბუციო კომპანიას სარეალიზაციოდ.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასის ხარჯი	655 475	689 520
იჯარის ხარჯი	42 844	38 985
ცვეთა და ამორტიზაცია	45 729	51 210
რეკლამის ხარჯი	231 494	128 497
ტრანსპორტირების ხარჯი	22 982	16 921
მივლინების ხარჯი	46 400	28 580
ბანკის მომსახურების ხარჯი	9 586	11 346
დაზღვევის ხარჯი	16 382	21 985
ავტომანქანის საექსპლოატაციო ხარჯი	11 995	16 324
საწვავის ხარჯი	16 465	14 442
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	47 951	28 050
ჯამი	1 147 303	1 045 860

7. მოგება/ ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2018	2017
დადებითი საკურსო სხვაობა	3 778	66 100
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(68 710)	(14 178)
ჯამი	(64 932)	51 922

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

8. საინვესტიციო ქონება

	მანქანა დანადგარები	შენობები- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	ჯამი
ნაშთი 01-01-2018	18 335	121 939	281 124	47 413	468 812
დამატება			(8 950)		(8 950)
ნაშთი 31-12-2018	18 335	121 939	272 174	47 413	459 862
ცვეთა					
ნაშთი 01-01-2018	(705)	(42 749)	(114 778)	(19 688)	(177 921)
წლის დარიცხვა	(3 526)	(3 960)	(25 780)	(4 916)	(38 182)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2018 წელი	(4 231)	(46 708)	(140 559)	(24 604)	(216 103)
საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2018 წელი	14 104	75 231	131 575	22 809	243 759

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,035	2,921
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	228	11 142
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	18
ჯამი	4 263	14 082

დიმიტრი ბარნაბიშვილი


დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 (არა აუდიტირებული)	2017 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	6 062 212	5 884 556
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1 885	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5 002 856)	(4 559 818)
მთლიანი მოგება		1 059 357	1 324 738
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1 147 303)	(1 045 860)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	7	(64 932)	51 922
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4 874	159 545
მოგება გადასახადის გადახდამდე		(148 004)	490 345
მოგების გადასახადი		(5 897)	(76 836)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(153 901)	413 508

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

დიმიტრი ბარნაბიშვილი
 დირექტორი



შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	243 759	290 891
არამატერიალური აქტივები		539	598
ინვესტიციები სხვა საწარმოთა		1 856 733	1 856 733
წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები		6 136 168	5 771 820
სულ გრძელვადიანი აქტივები		8 237 198	7 920 041
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	4 263	14 082
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-
მარაგები		502 761	1 160 995
გადახდილი ავანსები და დარიცხული		178 916	145 437
მისაღები შემოსავალი			
სხვა მიმდინარე აქტივები		165 204	165 016
სულ მიმდინარე აქტივები		851 145	1 585 995
სულ აქტივები		9 088 343	9 506 036
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	500
გაუნაწილებელი მოგება		4 657 865	5 197 496
სხვა რეზერვები		190 065	169 488
სულ კაპიტალი		4 848 430	5 367 484
გრძელვადიან ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		2 305 383	2 305 383
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		120 749	25 735
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 426 132	2 331 118
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და			
მიღებული ავანსები		624 895	731 299
საგადასახადო ვალდებულებები		158,392	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1 030 495	1 076 135
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 813 781	1 807 434
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9 088 343	9 506 036


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

(არააუდიტირებული)	კაპიტალის საწყისი ნაშთი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2017	237 590	5 029 163	5 266 753
კაპიტალის ცვლილება	(67 602)		(67 602)
სულ წლის სრული შემოსავალი		413 508	413 508
გადახდილი დივიდენდი		(245 175)	(245 175)
ნაშთი 01 იანვარი 2018	169 988	5 197 496	5 367 484
კაპიტალის ცვლილება	20 577		20 577
სულ წლის სრული შემოსავალი		(153 901)	(153 901)
გადახდილი დივიდენდი		(385 730)	(385 730)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	190 565	4 657 865	4 848 430

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

დიმიტრი ზარნაბიშვილი
 დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	721 528	57 727
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(730 293)	(62 566)
წმინდა სრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(8 765)	1 560
სავალუტო რისკის ეფექტი	(1 054)	3 691
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	14 082	8 830
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	4 263	14 082

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს:

დიმიტრი ბარნაბიშვილი
 დირექტორი

შპს „გეო იმპექსი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

8. საინვესტიციო ქონება

	მანქანა დანადგარები	შენობები- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	ჯამი
ნაშთი 01-01-2018	18 335	121 939	281 124	47 413	468 812
დამატება			(8 950)		(8 950)
ნაშთი 31-12-2018	18 335	121 939	272 174	47 413	459 862
ცვეთა					
ნაშთი 01-01-2018	(705)	(42 749)	(114 778)	(19 688)	(177 921)
წლის დარიცხვა	(3 526)	(3 960)	(25 780)	(4 916)	(38 182)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2018 წელი	(4 231)	(46 708)	(140 559)	(24 604)	(216 103)
საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2018 წელი	14 104	75 231	131 575	22 809	243 759

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,035	2,921
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	228	11 142
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	18
ჯამი	4 263	14 082

დიმიტრი ბარნაბიშვილი

დირექტორი

